

საპარტიკო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული სახელმწიფო კომიტეტისა

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 აპრილი, ოთხშაბათი, 1988 წ. № 82 (9749) შპნი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოსნებიდან - რეალობისაკენ

ღიას, გაეცდა უიზიკურ კულტურაში

25 აპრილს, ისევე როგორც ფიზიკულტურისა და სპორტის უკეთესი მუშაკი და, თუ გნებავთ, სპორტის გულშემატკივარი — ეს აუდიტორია ხომ ფაქტობრივად მთელი რეპუბლიკაა, დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის შეხვედრის ვიდეოჩანაწერს. დამთავრდა გადაცემა და ამ სტრიაქონებს, როგორც იტყვიან, პირდაპირ ცხელ გულზე ვწერ. აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ ამ შეხვედრით კიდევ ერთხელ გაეცა ზანი, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი პარტია ფიზიკულტურასა და სპორტს, როგორც ხალხის ჯანმრთელობის პირველწყაროს, როგორც სპორტის მეშვეობით ერის საუკეთესო თვისებებისა და ტრადიციების წარმოჩენის, მისი ავტორიტეტის ამაღლების საშუალებას. რამდენი რამ ითქვა ამ შეხვედრისას. სრულიად არ გადავავარებებ, თუ იტყვი, რომ ამ თბილ და უშუალო საუბარში აშკარად გამოიკვეთა როგორც ჩვენი ფიზიკულტურული და სპორტული მუშაკების, ისე მთელი საზოგადოების სამოქმედო პროგრამა. ეველა საკითხი ცალკე განსჯა-ანალიზის ღირსია, მაგრამ მე ახლა მინდა შევეცხო წინადადებას უმაღლეს სახელმწიფოებში შემსვლელთათვის ფიზიკულტურასა და სპორტში გამოცდის ჩატარების შესახებ. ამაზე ჩვენც გვიფიქრია, მაგრამ მიუწვდომელ ოცნებად მიგვაჩნდა, მით უფრო სახისარულოა, რომ ამის აუ-

ცილებლობაზე ახლა თვით რჩაბუბლიკის ხელმძღვანელმა გაამახვილა ყურადღება. დასკვნა ხავსებით სწორია: გვიანდა კი ისეთი სპეციალისტი, რომელიც ფიზიკურად სუსტია, რომელიც მზად არ არის შრომისა და სამშობლოს დასაცავად, რომელიც მთელ თავის ცოდნას, უნარს და შესაძლებლობებს ვერ გამოავლენს არასრულყოფილი ფიზიკური ჯანმრთელობის გამო? ეს სოციალური მნიშვნელობის საკითხია, ერთგულზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მე, როგორც უმაღლესი სკოლის მუშაკი, ხავსებით ვიწონებ აზრს უმაღლეს სახელმწიფოებში შესვლის წინ აბიტურიენტთა ფიზიკური მონაცემების შემოწმების შესახებ. დასაშაღვი როდია, რომ ჯანმრთელობის ცნობა და საბუთი ფიზიკური მომზადების შესახებ, რომელიც ხელთ აქვს აბიტურიენტს, უფველთვის რომ გამოხატავს რეალურ სურათს (ცხადია, ლაპარაკი არ არის ინვალიდებზე, რომელთათვისაც შეღავათებს უმაღლეს სახელმწიფოებში შესვლისას საერთო წესი ითვალისწინებს). ერთი სიტყვით, გამოცდა აუცილებელია. რა და როგორ? ეს ორგანიზაციული საკითხია, მთავარია მოთხოვნა წესად ვაქციოთ. ექვი არ შეპარება ამ დასკვნამდე ადრე თუ გვიან ქვეყნის ეველა უმაღლესი თუ საშუალო სპეციალური სახელმწიფოებში მივა. თქვენ რას იტყვით კოლეგებო?

როგორც ვამბობ, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე.

საპარტიკოს ფალაგანთა წარმატება




60 წლის წინათ, ვიდრე ამიერკავკასიის მოძვე რესპუბლიკები მოსკოვში პირველ საკავშირო სპარტაკიადზე ინტერნაციონალური ერთიანი სპორტული დღეგაცხივით გამოვიდოდნენ, თბილისში იმავ წელს ამიერკავკასიის პირველი ფიზიკულტურული ზეიმი ჩატარდა. ეს იყო მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა, რომელიც ოქროს ასობით შევიდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფიზიკულტურულ-სპორტული მოძრაობის მატარებში. თვით ის ფაქტი, რომ ამ დღისიხმების ჩატარებასთან დაკავშირებით ხავანგებო ღია საფოსტო ბარათიც გამოვიდა, ამ დღესასწაულის ისტორიულ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. სწორედ ეს ღია ბარათია აღბეჭდილი ამ ფოტორეპროდუქციაზე, რომელიც ქართული სპორტის ისტორიის მუზეუმში თავმოყრილ ექსპონატებში ინახება.

ბრადიციის დამკვიდრებას დიდი დრო სჭირდება

ბრადიციის დამკვიდრებას დიდი დრო სჭირდება, დაკარგვას — რამდენიმე წელი. განსაკუთრებულად საგანგაშო უნდა იყოს წარუმატებლობა იქ, სადაც ადრე, ჩვეულებრივ, წარმატებებს ვაღწევდით. ჩვენს კლასიკური სტილის მოკიდავებს, ეს არაერთხელ აღინიშნა პრესაში და, კერძოდ, ჩვენს გაზეთში, ადრინდელი წლების მიღწევებით უფრო შეუძლიათ თავის მოწონება, ვიდრე დღევანდელი შედეგებით. ამიტომ ახლა ყოველი გამარჯვება, ყოველი პერსპექტიული ახალგაზრდის გამოჩენა საყურადღებოა. ასეთ წარმატებათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს ახალგაზრდა (1968-1969 წლებში დაბადებულნი) „კლასიკოსთა“ კარგი გამოსვლა ქვეყნის ახალგაზრდულ პირველობაზე. თბილისელი კობა გულთაშვილი (62 კგ) და ქუთაისელი გიორგი კოლაშვილი (90 კგ) ჩემპიონები გახდნენ. პირველი არმიის სპორტკლუბის წევრია, მეორე — დინამოელი. მესამე სპარსო ადგილები მოიპოვეს თბილისელმა აკაკი ჩაჩუამ (62 კგ, პროფკავშირები), რამაზ გაბაბაძემ (82 კგ ასკ) და ტარიელ შავაძემ (52 კგ, „შრომითი რეზერვები“). გულდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები III ადგილზე გავიდა. დიდი ხანია ჩვენი გუნდი ასე კარგად არ გამოსულა ქვეყნის ახალგაზრდულ პირველობაზე.

მართი პირველი და ერთი მეორე ადგილები მოიპოვეს ქართველმა ფალაგანებმა თავისუფალი სტილის მოკიდავითა საკავშირო ახალგაზრდულ (გამოდიოდნენ 1966-1967 წწ. დაბადებულნი) პირველობაში, რომელსაც გომელი მასპინძლობდა. მძიმე წონაში უძლიერესი იყო თბილისელი ლევან ებანაიძე („შრომითი რეზერვები“), 100 კგ წონაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ვაჩუაშვილი თამაზ ინდუაშვილი (პროფკავშირები).

მაღლა ძიულთ თანდათან იხვევს პოპულარობას ჩვენს ქვეყანაში. 240 მონაწილემ მოიყარა თავი მინსკში, ძიულთისტ ქალთა საკავშირო ტურნირზე. სასიხარულოა, რომ გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც იყვნენ. შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავეს რენა შავერდოვამ (46 კგ) და ია ზღულაძემ (56), მეორე — რუსიკო კუპაძემ (52) და ლელა ნებიერიძემ (72), მესამე ელნა გაბრიელიანმა (61). გუნდის მწვერთელია გოდერძი ველიჯანაშვილი.



თბილისში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობა თანამედროვე ხუთტილში ტახუტა შორის. ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა ნოდარ შამოიანმა, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ (წერილი ამ ასპარეზობის შესახებ იხილეთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში).

მოსკოვდა მეოთხედფინალში

25 აპრილს ლიუცერნში (შვეიცარია) ფიდე-ს წარმომადგენელმა ქარდავის მოყვარულთ აცნობა, რომ ანატოლი კარპოვსა და ისლანდიელ დიდოსტატ იოჰან პიარტარსონს შორის მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი

გაიმართება სიეტლში (აშშ) 1989 წლის იანვარში. ამავე დროს ჩატარდება კიდევ ორი მეოთხედფინალური მატჩი — საბჭოთა დიდოსტატი არტურ იუსუპოვი მონრეალში შეხვედება კანადელ კევინ სპრაუტს, ხოლო პო-

ლანდიელი იან ტიმანი ბელგიაში — უზგრელ ლიოპ პორტიმს. ინგლისელები ნიჯელ შორტი და ჯონათან სპილმენი ერთმანეთს შეხვედებიან ლონდონში ამა წლის აგვისტოს მეორე ნახევარში.



სურათზე: ასეთი იქნება პირველი ბეისბოლის სტადიონი მოსკოვში. იგი 2 თაის მუშურებელს დაიტევს.

ბეისბოლი ამერიკაში და... რვენი

სულ რაღაც თერთმეტი საათი ჰაერში და ბეისბოლის ორი საბჭოთა მწვერთელი ამერიკის მიწაზე აღმოჩნდა. ჩაფრენისთანავე ნიუ-იორკის კენედის სახელობის აეროპორტში გაიმართა პრეს-კონფერენცია. სსრკავშირის ნაკრების უფროსმა მწვერთელმა ალექსანდრე არდატოვმა და ნაკრების ერთ-ერთმა მწვერთელმა, თბილისელმა გელა ჩიხრაძემ ამერიკელ ჟურნალისტთა შრავალიცხივან შეკითხვებს გასცეს პასუხი. შეკითხვები ასეთი გახლდათ: რო-

დის დაიწყეს საბჭოეთში ბეისბოლის თამაში? რატომ? როგორ გაეცნებოთ სპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტივა, თქვენი საბოლოო მიზანია? იცნობთ თუ არა ამერიკული ბეისბოლის ვარსკვლავებს? და საერთოდ, თუ იცით რამე ბეისბოლის შესახებ?.. ოცამდე სხვადასხვა გამოცემამ ფართოდ გაამუქა საბჭოთა მწვერთელების ამერიკაში ჩასვლა, მერე კი მათი იქ ყოფნაც. სპორტულ საზოგადოებაში ისეთმა ავტორიტეტებმა

(და ძვირფასმა) ჟურნალმა კი, როგორცაა „სპორტ ილიუსტრაციტი“, საბჭოთა ბეისბოლის რამდენიმე გვერდი დაუთმო და ჩვენი მწვერთელების ვიზიტს „ძალზე მნიშვნელოვანი“ უწოდა. და ეს მართლაც ასე იყო. რაც შეეხება ბეისბოლს ამერიკაში, ამ საკითხს ჩემი კომენტარები არ ესაჭიროება. ისიც კმარა, რომ „ახალ სამყაროში“ ეს თამაში



ბეისბოლი ამერიკაში და... რვაეზი

(დასასრული)

ეროვნულად ითვლება. ჩვენთან როგორაა საქმე? დღეისათვის საბჭოთა კავშირში 30-მდე ბეისბოლის გუნდია. გეოგრაფია ვრცელია — ბალტიისპირეთიდან ციმბირამდე. ჩატარებულია 7 საკავშირო ტურნირი, მოწვევით შეზღუდული სხვადასხვა ქვეყნის გუნდებთან. შეიქმნა ბეისბოლის საკავშირო ფედერაცია (მისი თავმჯდომარე რამაზ გოგლიძე გახლავთ), ხოლო ახლახან ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაციის (იბა) აღმასკომის სხდომაზე ჩვენი ქვეყანა მისი 65-ე წევრი გახდა. სხვათა შორის, ოლიმპიადი-92-სთვის, როცა შედგება ბეისბოლის ოფიციალური ოლიმპიური დებიუტი, ასოციაციაში უკვე 80, ხოლო საუბუნო დებიუტისათვის — 100 წევრი იქნება. ამ თამაშის შემდგომი პოპულარიზაციისათვის დაგეგმილია წელს, ოლიმპიადის შემდეგ ჩატარდეს საკონტინენტთაშორისო „ვარსკვლავთა მატჩი“ 40 ქვეყნის საუკეთესო ბეისბოლისტთა მონაწილეობით. დიდი ყურადღება ექცევა კეთილი ნების თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ბეისბოლის ტურნირის მომზადებასაც ამერიკის ქალაქ სიეტლში 1990 წელს. სსრ კავშირისა და აშშ-ის გუნდების გარდა მონაწილეთა შორის ალბათ იქნებიან გამოცდილი კლები და ახალბედა ჩინელი ბეისბოლისტები.

მაგრამ მწვრთნელთა კადრების სწავლება-კვალიფიკაცია კვლავაც „მტკივნეულ ადგილად“ რჩება. სსრ კავშირის სპორტსახკომის დადგენილებით „ბეისბოლის, სოფტბოლისა და რუსული ჩოგანბურთის განვითარების შესახებ“ (1987 წ. 14 მაისი) გადაწყვეტილია ერთ-ერთი ფიზკულტურის ინსტიტუტში შეიქმნას ბეისბოლის კათედრა, მაგრამ მთელი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სსრ კავშირის ბეისბოლის სახელმწიფო მწვრთნელის ალექსანდრე კალიფიტა აღიარებით, ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს სპეციალისტები, რომლებიც ამ დისციპლინის სწავლებას შეძლებენ.


აი, რატომ უნდა ეწოდოს კვალიფიკირებული მწვრთნელების მომზადების საკითხს მართლაც „ძალზე მნიშვნელოვანი“.

ამერიკაში ყოფნის სამი კვირის განმავლობაში საბჭოთა მწვრთნელებმა მონახულეს რამდენიმე ქალაქი და შეისწავლეს წვრთნის პროცესი ბეისბოლის რამდენიმე წამყვან პროფესიულ გუნდში: ნიუ-იორკის „მეტსში“, „ფილადელფია ფილში“, „ჯორჯიანს ბრეივში“, ლოს-ანჯელეს „დოჯერსში“ და სხვ. ყურადღებით აკვირდებოდნენ ჩვენი მწვრთნელები ოკეანისგაღმელ პროფესიონალებს. ქალაქ ვერობი-

ჩში, კლუბ „დოჯერსის“ სახანძრო ბაზაზე, მათ ამერიკის ბეისბოლის ყველაზე დიდმა „პარსკვლავებმა“ — კერუ გიბსონმა (იგი ქვეყანაში ყველაზე „ძვირი“ სპორტსმენია, წლიური შემოსავალი — 3 მლნ. დოლარი), სარკ ანდერსონმა და სტივ ლამბარდონმა შესთავაზეს ოსტატობის გაკვეთილი. 28 წლის სტივმა 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონაში, საბჭოთა მწვრთნელებს თავისი კები აჩუქა, რომელშიც ჩემპიონი გახდა. საერთოდ საჩუქრებში ამერიკელებმა დიდი გულუხვობა გამოიჩინეს, ძირითადად იმას ჩუქნიდნენ, რაც აუცილებლად საჭიროა ბეისბოლის განვითარების პირველ ხანებში — ტაფელებს, ბურთებს, აღჭურვილობას. ასევე უმურველად

ფელებს და ყველაფერი დანარჩენი. ...და არა გვაქვს მოედანი. მოგესხენებათ, ბეისბოლის მოედნის ფორმა ძალზე ორიგინალურია — იგი გაშლილ მარაოს მოგვაგონებს. ამჟამად ქართველი ბეისბოლელები ფეხბურთის მოედნით სარგებლობენ (რაც, სხვათა შორის, ძალზე რთულია), მაგრამ არც მოედნის ზომები, არც მისი საფარი, რომ აღარაფერი ვთქვათ მასურბელისთვის მოუხერხებლობაზე, არ პასუხობს სტანდარტებს. ამიტომაც მოედნის საკითხი იყო და კვლავაც რჩება სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხად. მნიშვნელოვანი და... დია საკითხად.

შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ მაინც გვექნება საქართველოში ბეისბოლის ნამდვილი მოედანი? გვი-



გაუზიარეს პროფესიონალებმა თავიანთი გამოცდილება. თითოეული მწვრთნელი — „დოჯერს თუნში“ კი არცთუ ცოტა გუნდმა მოიყარა თავი — საკუთარ მოვლედებში თვლიდა ერთი გაკვეთილი მაინც ჩატარებინა (ანაზლაურების გარეშე) „რუსებისთვის“. ის კი არა, იმ ხანად „დოჯერსებთან“ სტუმრად მყოფი იაპონური გუნდი „დრაკონსი“ ჩაერთო ჩამოსული მწვრთნელების განათლებისათვის გაჩაღებულ ამ საერთო ბრძოლაში. ალექსანდრე არდატოვსა და გელა ჩიხრაძეს, ბეისბოლის ერთ-ერთ პირველ საბჭოთა სპეციალისტებს, უკვე ჰქონდათ ცოდნის გარკვეული მარაგი. ისინი გუნდთან ერთად ორჯერ იყვნენ კუბაში, მაგრამ მათი თქმით, ბეისბოლის წარმატებით ზამთრის ძირითად „საიდუმლოებებს“ სწორედ ამერიკაში ჩასწავლენ.

მაშ ასე, ვნახოთ, რა მდგომარეობა გვაქვს დღეს, როგორ გამოიყურება ბეისბოლი საქართველოში? გვაქვს მრავალნაირი მეთოდური ლიტერატურა, ვიდეოკასეტები პროფესიონალ ბეისბოლისტთა მატჩების ჩანაწერებით, ერთი გუნდისათვის საჭირო აღჭურვილობის სრული კომპლექტი: ბურთები, ტა-

ნდა ობტიმისტები ვიყოთ. ამჟამად გელა ჩიხრაძე თავის გუნდს ოქროყანაში ავარჯიშებს (მის შემადგენლობაში 25 კაცია), არსებობს ახალგაზრდული გუნდიც — მასში 20 წელზე უმცროსი 30 სპორტსმენია. მალე თბილისში გაიხსნება რეგისტრაცია და ბეისბოლის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლა. სკოლაში მიღების დრო და პირობები დამატებით გამოცხადდება მარტში, სავარაუდოდ ბეისბოლის სპეციალობაზე 60-მდე ბავშვი ისწავლის. ინტერესი, რომელსაც გულშემმატყვიერები იჩენენ სპორტის ამ სახეობისადმი, და ყურადღება, რომელსაც იჩენენ რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელები ახალი სახეობის მიმართ, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბეისბოლი კეთუნნილ ადგილს დაიკავებს.

თავად განსაჯეთ, ჩვენ ზომ მინდვრის გარდა ყველა სხვა საამისო პირობა გავაჩნია. საკუთარი კვალიფიკირებული სპეციალისტის ყოლა უკვე წარმატების რეალური იმედია. ოღონდ ახლა მოთმინებას უნდა მოუხსნოთ და ველოდეთ, როდის დადგება „ჭირბახულის აღების“ დრო.

აკაი აბოზირიშვილი.



ლახის
წრები

ვაუა-ფშაველას ეს სიტყვები გამახსენდა, როცა თბილისში, პავლევის ქუჩის 84-ა კორპუსში მცხოვრებმა ხალგაზრდებმა თავიანთი გულსიტყვილი გამიზიარეს.

ამ ბინაში 148 ოჯახი ცხოვრობს. თითო ოჯახში თითო ბავშვი მაინც ზომ იქნება და მძღენ ბავშვს ერთი პატარა სათამაშო მოედანი ზომ უნდა ჰქონდეს?

არადა, ბავშვები იხე იზრდებიან, ეწოში ვართობის საშუალება არა აქვთ. ერთი რომ, ეწო პატარაა, მეორეც, ამ პატარა ეწოში იმდენი მანქანა დგას, რომ იტყვიან, ერთი მტკაველი მიწა არ რჩება ფეხბურთის თუ არა, ლახის სათამაშოდ მაინც. მოზარდები ხატობარს არ იტყვენ. თუ დაინტერესდებით, აუცილებლად გაჩვენებენ ერთ მცირე სათამაშო მოედანს, რომელიც „მზრუნველებს“ ხანა-ხევრად კი შემოუღობავთ, მაგრამ სპორტული ინვენტარის შეტანა „დავიწყებიათ“. ამ მოედანზე ხაბავშვო ბაღის აღსაზრდელებს თუ შეეფერებათ თამაში.

ერთ ზანს თითქოს მოინახა გამოსავალი. იქვე, სახლის გვერდით, საშენ მასალათა კომბინატის კაპიტალურად წაშენებ ღობესა და კინოთეატრს შორის შეიძლება პატარა სპორტული კომპლექსი მოეწყოსო.

ამ საქმის მოსაგვარებლად, რატომ უნდა, უფროსებმა დაიწყეს ზრუნვა. მიმართეს ორგანიზაციის რაიონსაკომისა და ოთხმოცდამეოთხე საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენლებს. ისინიც შეპირდნენ, დაგეგმარებოთ, მაგრამ სიტყვას საქმე არ მოაყოლია.

შარშან, 12 დეკემბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით „სათავეში ამღვრილი წყალი“. მასში ორჯო...

მუბრუნდებით დაბეჭდვით



„ყოფნა-არყოფნა“

თბილისის წყალბურთელ ქალთა გუნდის „ივერიის“ თაობაზე „ლელოს“ 7 პარილის ნომერში გამოქვეყნებულ პროკლამაციურ წერილთან („ყოფნა-არყოფნა“) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკითხი განიხილა პროფკავშირების ნეპოფილითი ფიზკულტურული სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ და წერილში მოყვანილი ფაქტები სწორად მიიჩნია.

გუნდის შექმნის დღიდან ყოფილი სპორტსაზოგადოება „ბურჯესტისი“ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ატარებდა სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას და გუნდს სხვადასხვა შეჯიბრებებისათვის ამზადებდა. ინსტიტუტის აუზის რეკონსტრუქციასთან და პროფკავშირულ-სპორტული საზოგადოებების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გუნდი გარკვეულ პერიოდში ეურადღების გარეშე დარჩა. მწვრთნელებმა ხელფასის ფონდის უქონლობის გამო გამარჯვლო ვერ მიიღეს და ისინი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდნენ. 1987 წლის სექტემბრიდან გუნდის მეთვრეობა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ სპორტულ კლუბს გადავა. დღემდე სპორტული კლუბის ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მუშაობა რესპუბლიკურ საბჭოს არასაკმარისად მიაჩნია. დღე-

დგანან და ეროვნული გეგმვა

ნიციის რაიონის საბინაოსექსის პლოატური ტრენინგ მართველმა დევი ავლაძემ განაცხადა, მოედნის მროექტი მზად არის და მომავალი წლიდან დაიწყება მშენებლობა.

ეს ღროც მოვიდა, მაგრამ ოქაურობას არავითარი სასიკეთო ცვლილება არ ეტყობა.

სხვათა შორის, ოთხმოცდამეოთხე საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის სახლმმართველს მარინე ჩუბინიძესა და პედგოგ-ორგანიზატორის ნელი გზირიშვილს კარგად მოუხსენებია ვითარება, მაგრამ ისინი თურმე წემდგომი ორგანიზების გადაწყვეტილებას ელოდებიან...

შერე ზაურ მასურაძემ ისიც გვაცნობა (ზაურიც სამეც კანტორის თანამშრომელია), ერთ ბოლო თათბირზე დ. ავლაძემ დღის წესრიგში შეიტანა მოედნის მოწყობის საკითხი და ორ-სამ დღეში მუშაობა დაიწყო.

სიმართლე გითხრათ, ეტვი არ შეიძლება ზ. მასურაძის ნათქვამში. რამდენიმე დღის მერე გულარხინად გავეშურე დაწყებული მშენებლობის სანახადა, მაგრამ, რა დაგვარგვია, რას ეძებ — მშენებლობის დაწყებას ვინ ჩივის, ხანავედ ქცეულა მომავალი სპორტული კომპლექსის ტერიტორია.

გიორგი ჯალიავა, ვა საჯაია, გოდერძი გოდერძიშვილი, სანდრო მასურაძე, ირაკლი კვარაცხელია და მათი თანატოლები დღესაც ბავშვური გულბურჯელობით და ერთგვარი სიჭაბუკეობით დანაპირების შესრულებას, ნუთუ უსაზღვროა მათი მოლოდინი?

მაია იაკობაშვილი.
თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

რამდენიმე უპასუხავს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო

სათვის გუნდი უზრუნველყოფილი არ არის სასწავლო საწვრთნელი ბაზით, საჭირო სპორტული ინვენტარით, გადასაწვებთა მწვრთნელთა ანაზღაურების საკითხი, მოსაგვარებელია რეგრეთან მუშაობის პირობებმა და სხვ.

ვახუთის კრიტიკული გამოხვლის პასუხად გატარებული დონისძიების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა ყოფილი მწვრთნელი ზ. ჩაჩავა. მასთან ერთად იმუშავებს მწვრთნელი გ. ჩერტკოვი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს წინაშე დაცვა საკითხი გუნდისათვის დეფიციტური ინვენტარის გამოყოფის შესახებ. აუზის იჯარისათვის დაეგემა დაფინანსება; სექტემბრიდან ფიზკულტურის ინსტიტუტის აუზის მწყობრში შეხვდის შემდეგ გუნდს საკუთარი საწვრთნელი ბაზა ექნება; ბავშვთა და მოზარდთა ცურვის რესპუბლიკურ სპორტულ სკოლას რეგრეთან მუშაობისათვის დაევალა 1 სექტემბრიდან ერთი საშტატო ერთეულის გამოყოფა წყალბურთში, მისიდან გუნდის წევრებს მუდმივი კება ექნებათ.

ვამა მუშაბაშვილი.
პროფკავშირების ნეპოფილობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

უპასუხავს, უპასუხავს!

იზვიათად, რომ კრიტიკულ წერილებზე, რომლებიც ჩვენს გაზეთში ქვეყნდება, დროული და საქმიანი პასუხი არ მივიღოთ იმათგან, ვისაც ეს ეხება და ვვალდებ. ამიტომაცაა, რომ იშვიათად გვიხდება რბრების „უპასუხავს, უპასუხავს“.

სენებო!“ — მოხმობა. მაგრამ მაინც ვეიბდება. აი, ახლაც იძულებული ვართ გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებას შევხსენოთ, რომ პასუხს მოგვლითყელს, 14 იანვარს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე „როცა ეწო მრუდდა“. დუმან აფხაზეთის, აჭარის, მცხეთის სპორტის მესვეურები, რომლებსაც პასუხი უნდა გავცათ კითხვაზე, თუ რატომ არ იყვნენ ზმდა ამ რეგიონების ნიხმოსნები წლის დასაწყისში გამართული რესპუბლიკური შეჯიბრებისათვის (კრიტიკული წერილი „ლელოს“ ამ საკითხზე გამოქვეყნდა 11 თებერვლს).

ქვირფასის, დროულის

მეგობარის ისეთი უნდა, ტოკის უნივერსიტეტის რექტორ-პრეზიდენტი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირის იაბონის ასოციაციის პრეზიდენტი სიგვეის მაცუმაე რომაა და საჩუქარიც იმას ჰქვია, მან რომ საბჭოთა ბეისბოლისტებს უძღვნა — იაბონელი ინჟინრების მიერ დამუშავებული ბეისბოლის სტადიონის პროექტი და ამ პროექტით ჩვენს ქვეყანაში ბეისბოლის პირველი სტადიონის ასაშენებლად გაკეთებული 2 მილიონი დოლარი; აგრეთვე ბეისბოლისტთა აღაზრდულობის 30 კომპლექტი და სხვა ინვენტარი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის წევრებსათვის. 20 აპრილს მაცუმამ მოსკოვის უნივერსიტეტის სპორტკომპლექსის

ტერიტორიაზე პირველი ქვაც ჩალო მომავალი სტადიონის საძირკველში. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიაზე იაბონელმა სტუმარმა აღნიშნა — ბეისბოლის განვითარება ისეთ დიდ და ავტორიტეტთან ქვეყანაში, როგორც საბჭოთა კავშირია, ხელს შეუწყობს ამ სახეობის პროპაგანდას მთელს მსოფლიოში. საბჭოთა კავშირში ბეისბოლის განვითარებით საერთაშორისო დინტერესების დასტური იყო ის ფაქტიც, რომ ამ ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვი სავანგებოდ ჩამოფრინდნენ ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაციის (იბა) პრეზიდენტი, ამერიკელი ბობ სმიტი და პროფესიულ კლუბ „ლოს-

ანჯელისის“ პრეზიდენტი პიტ ომელი.

იაბონელთა საჩუქარი მარტო ქვირფასი კი არა, ძალზე დროულიც არის. მოგესხენებათ, ბეისბოლმა ოლიმპიური სტატუსი მიიღო და 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილი. შორს არ არის, ალბათ, ის დრო, როცა ჩვენი ქვეყნის ბეისბოლისტები საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადზეც იასპარეზებენ. ცხადია, ამ ცნობას მარტო შესახსენებლად არ ვიმეორებთ, მას საჭიროდ ნათელი ქვეტექსტი აქვს — იმისათვის, რომ არ ჩამოვრჩეთ, ჩვენც დროულად უნდა ვიზრუნოთ საქართველოს ბეისბოლისტთა დასაბინავებლად.

კიდე ორი ტური

ბანიბარტა კალატავრთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

პირველი ჯგუფი. გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა ქუთაისმა სპორტსმენებმა ჩემპიონატის პირველ რაუნდში კიდე ორი გამარჯვება ჩაიწერა. ქუთაისელებმა ამჯერად გორის კალატავრთელებს დაამარცხეს — 107:63 და 82:58.

ორი გამარჯვება მოიპოვა უნივერსიტეტმაც, რომელსაც ვასვლითი შეხვედრებში ჰქონდა ბათუმში. პირველ ორთაბრძოლაში უნივერსიტეტმა უპირატესობა უღივრეთაძეს — 111:79 (65:32), აი, მეორეში კი ბათუმის კალატავრთელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, თუმცა ბოლოს მაინც დამარცხდნენ — 86:93 (47:55).

ერთი მატჩი ამ ჯგუფში არ შედგა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი უცხოეთში იმყოფება და ამის გამო მისი შეხვედრა თბილისის „დინამოსთან“ მოგვიანებით გაიმართება.

გათამაშების ცხრილი

| | | | | |
|-------------|----|----|---|----|
| ქუთაისი | 14 | 18 | 1 | 27 |
| უნივ. (თბ.) | 14 | 13 | 1 | 27 |

ჭაბუკთა ტურნირზე

ჭაბუკთა კალატავრთელთა რესპუბლიკური ტურნირშიც მორიგი მატჩები ბანიბარტა.

პირველი ჯგუფი. ბათუმი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 90:67 (47:35) და 84:77 (47:25), საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 60:112 (29:58) და 50:99 (34:50).

გათამაშების ცხრილი

| | | | | |
|---------------|----|----|---|----|
| „დინ.“ (თბ.) | 11 | 11 | 0 | 22 |
| ბათუმი | 12 | 7 | 5 | 19 |
| ქუთაისი | 10 | 6 | 4 | 16 |
| „უნივ.“ (თბ.) | 12 | 4 | 8 | 16 |



ფიზკ. ინსტ. (თბ.)

| | | | | |
|--------------|----|---|----|----|
| ბათუმი | 14 | 4 | 10 | 18 |
| გორი | 14 | 2 | 12 | 16 |
| „დინ.“ (თბ.) | 12 | 0 | 12 | 12 |

მეორე ჯგუფი. ერთი მატჩი არც აქ ჩატარდა, სოხუმის გუნდს თელაველთა ჩაოტუსვლელობის გამო ორ კალენდარულ შეხვედრაში გამარჯვება ჩაეთვალა.

საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ორჯერ დაამარცხა „მართვი“, პირველად — ანგარიშით 83:74 (43:38), მეორედ — 88:81 (52:45).

ორი გასვლითი მატჩი მოიგო „სინათლემაც“. რუსთავში მან ადგილობრივი კოლექტივი დაამარცხა — 97:64 (61:37) და 105:84 (61:40).

„სინათლე“ (თბ.)

| | | | | |
|----------------|----|----|----|----|
| სოხუმი | 14 | 18 | 1 | 27 |
| სბი (თბ.) | 12 | 9 | 3 | 24 |
| რუსთავი | 12 | 3 | 9 | 15 |
| „მართვი“ (თბ.) | 10 | 3 | 7 | 18 |
| თელავი | 14 | 0 | 14 | 10 |

მეორე ჯგუფი. რუსთავი — სინათლე 69:49 (37:23) და 53:40 (32:20), სოხუმი — თელავი 87:84 (41:44, 79:79) და 71:61 (31:28).

გათამაშების ცხრილი

| | | | | |
|-----------------|----|---|---|----|
| რუსთავი | 10 | 6 | 4 | 16 |
| სბი (თბ.) | 8 | 7 | 1 | 15 |
| „მართვი“ (თბ.) | 8 | 7 | 1 | 15 |
| „სინათლე“ (თბ.) | 10 | 2 | 8 | 12 |
| თელავი | 10 | 2 | 8 | 12 |
| სოხუმი | 6 | 2 | 4 | 8 |

ეთის ფორა და სპორტი

მიმდინარე წელს ბოტანიკოსთა პირველი ექსპედიცია გაემგზავრა ჯუღაურისა და ყაზბეგის რაიონებში. გამოკვლევის მიზანია შვისწივლიან მცენარეთა „ქცევა“ მთის გაზაფხულის წირობებში. ცნობილია, რომ წელიწადის ამ დროს ბუნება გაღვივებულ ფლორას ხშირად ექსტრემალურ პირობებს უქმნის. ყველა მცენარეს თანაბრად როდი გადააქვს ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა, ძლიერი ქარი და მოულოდნელი თოვანა. მეცნიერებმა უნდა გამოარკვიონ, თუ როგორ მცენარე უკეთ აბარებს გადარჩენის „გამოცდას“ მკაცრ პირობებში, იოლად ეგუება გარემოს და უფრო აქტიურად იყენებს ცხოველმშენებლის რეზერვებს.

სპეციალისტთა ყურადღების ობიექტი გახდება აგრეთვე სამთოსათხილამურო ტრასების გადგენის ეკონომიკური საკითხები. ჩვენი კოლეგები ინსტრუქტორების რაიონებში, რომლებთანაც ერთობლივად გამოკვლევას ვაპრობებთ ალპური მდელოების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის დარგში. დიდი ხანია იკვლევენ ამ პრობლემას, — თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნახუცროვიძემ. — მათ დაადგინეს ეკოსისტემების ცვალებადობების მნიშვნელოვანი კუთარება თოვლის საფარის ხელ-

მოქმედებისა და მათი გავრცელების გამო. ამიტომ ექსპერტ-კოლოგთა ნებადართვლად ამ ზონაში არ წარმოებს არავითარი სამშენებლო სამუშაოები. ჩვენს რესპუბლიკაში მაღალმთიანი კურორტების, სპორტის ინტენსიური მეცადინეობის განვითარებასთან დაკავშირებით შესასწავლია აგრეთვე ამ რეგიონის ეკოლოგიური ვითარებაც. სპეციალისტების რეკომენდაციებით დაგეგმარება უფრო რაციონალურად გამოიყენონ კურორტები სპორტული ღონისძიებებისათვის, არ დაეარდვიონ ბუნებრივი, ლანდშაფტი.

(საქინფორმი).

ჩემპიონი — „შავ სიაში“

მსოფლიოს ექსპერიმენტი მძლეოსნობის კრისში ზოლა ბადი შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შავ სიაში“, რომელსაც ადგენს სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური საერთაშორისო კომიტეტი. ამის შესახებ იუწყება ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“. ამ სიაში ჩვეულებრივ შეაქვთ ყველა ის სპორტსმენი და სპორტული მოღვაწე, რომლებიც სამხრეთ აფრიკისთან კავშირში იქნებიან მხილებულნი. ზოლა ბადი, წარმოშობით სამხრეთ-აფრიკელია, რომელმაც შემდეგ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო, ეს სასჯელი დაიმსახურა იმიტომ, რომ გასულ წელს მონაწილეობდა სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში.

სწორედ ამ მოგზაურობების გამო ბადს აკრძალა მონაწილეობა დიდი ბრიტანეთის გუნდის შემადგენლობაში მძლეოსნობის კრისში მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ახალ ზელანდიაში გაიმართა ჩვენ ამის შესახებ უკვე ვიუწყებოდით, რად. ბადი შეჯიბრებაზე მაშურბლის როლით შემოიღარგა. სპორტსმენმა თავის გასამართლებლად თქვა, რომ იგი ამჟამად მთელ დროს დიდ ბრიტანეთში ატარებს, სადაც იშვებს სახლს და ემზადება სწავლის გასაგრძელებლად ერთ-ერთ ადგილობრივ უნივერსიტეტში.

„სპორტპროგრესი“
81-17 ბიარტის შედეგები (24-25 აპრილი)
1-1, 2-X, 3-1, 4-1, 5-1, 6-1, 7-X, 8-1, 9-X, 10-1, 11-1, 12-2, 13-1.

ინფორმაცია

პაპიანი. ადგილობრივმა ტანმოვარჯიშებმა მოუგეს ამხანაგური შეხვედრა კანადის გუნდს. დღეს კი აქ დიდი საერთაშორისო ტურნირი იწყება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 14 ქვეყნის წარმომადგენლები.

პიუსტინი (აშშ). აქ გამართულ ამერიკის ჩოგბურთულ ქალთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები კრის ევერტი და მარტინა ნავრატოვა. გამარჯვება ევერტმა — 6:0, 6:4.

„სპორტპროგრესი“
81-17 ბიარტის შედეგები (24-25 აპრილი)
1-1, 2-X, 3-1, 4-1, 5-1, 6-1, 7-X, 8-1, 9-X, 10-1, 11-1, 12-2, 13-1.
შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.
ცისვარ პარანა
ცენტრალური ტელევიზია. 27 აპრილი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); შესარჩევი ოლიმპიური მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — ბულგარეთი (გადაცემა სიმფეროპოლიდან) — 19.55 (1); საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია (გადაცემა ჩეხოსლოვაკიიდან) — 22.50.
საპარტიო მუშა ტელევიზია. 27 აპრილი. შესარჩევი ოლიმპიური მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — ბულგარეთი — 19.55; საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია — 22.50.

„დიდი მუზარადის“ მრგვის გელოგალი

ზოგადი შრომა. მისთვის აუცილებელია გამოცდილების შექმნა. საბედნიეროდ, მას ეს კარგად ესმის.
მართლაც, დიდი შრომის წყალობით, ლეიფერმა საკმაოდ კარგი გამოცდილება შეიძინა და კლასიკ აიმაღლა, რაშიც დიდი წვლილი გარი ჰომანის მიუძღვის.
სკოლის დამთავრების მერე როდ ლეიფერი სამუშაოდ ბრისბენში გადავიდა. სამსახურის შემდეგ გამოცდილებით ვარჯიშობდა ამჯერად იან ეირის მეთვალყურეობით, ბრისბენში პერიოდულად ავითავდა გარი ჰომანის, რომელიც ასევე დიდად ეხმარებოდა ლეიფერს და ოსტატებში.
17 წლის ლეიფერმა გაიმარჯვა იუნიორთა ჩემპიონატზე ქვისსლეინში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ავსტრალიის პირველობის ფინალისტი გახდა იუნიორთა შორის. ფინალი ზობ მარკთან წააგო. ეს ორივე ჩოგბურთელი მოგვიანებით ნაკრებში მიიწვიეს ევროპისა და ამერიკის ტურნეებში მონაწილეობისათვის. მათ გარდა გუნდში იყვნენ: ხოლი, როზუოლი, ფრეზერი, ანდერსონი და კუპერი. ახალგაზრდა როდი ეთავსებოდა ყველა მათგანს, მაგრამ განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო იმ დროის მსოფლიო პირველ ჩოგან ლუი ჩოადათ.
1959 წელს 21 წლის ლეიფერი პირველად გავიდა უიმბლდონის ტურნირის ფინალში, სადაც დამარცხდა პერუელ ოლმედისთან (მას აშშ-ის მოქალაქეობა ჰქონდა

მიღებული). ერთი წლის შემდეგ იგი კვლავ ფინალისტი გახდა, მაგრამ კვლავ დამარცხდა. ამჯერად გამოცდილ თანამემამულე ნილომ ფრეზერთან. მიუხედავად ამისა, ლეიფერი, ემერსონთან და ფრეზერთან ერთად საკმაოდ დიდ წარმატებებს აღწევდა „დევისის თასის“ გათამაშებაში, მათ ზედისხედ ორჯერ მოიპოვეს ეს საპატიო პრიზი. 1961 წლიდან კი ლეიფერმა მიზნად დაისახა „დიდი მუზარადის“ მოპოვება. მაშინ ხელის ტრავმის გამო ვერ შეძლო ებრძოლა ამ პრიზისათვის, მიუხედავად ამისა, მოახერხა ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრების — უიმბლდონის ტურნირის მოგება. ფინალში სარკოროლო დროში—55 წუთში ამერიკელი მაკინლი დაამარცხა.
ასრულდა როდ ლეიფერის ოცნება. 1962 წელს მან სამჯერ სხვადასხვა ტურნირების ფინალში მოუგო ემერსონს, რომელიც წყვილთა თანრიგში მასთან ერთად გამოდიოდა. უიმბლდონის ფინალში კი ლეიფერმა მოხდენილად დაამარცხა მალოვანი.
1962 წელს, მას შედეგ, რაც ლეიფერმა მოიგო „დიდი მუზარადი“, პრეფესიონალი სპორტსმენი გახდა, სადაც გარკვეული შრომა დასჭირდა, რათა დაემტკიცებინა თავისი სიძლიერე, რაც მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლო.
ლეიფერის სპორტული კარიერის პიკად შეიძლება ჩაითვალოს 1969 წელი. ხელმოწერულ მოიპოვა „დიდი მუზარადი“. ავსტრალიაში სამ სეტში დაამარცხა ხიმენო, პარიზ-

ში კი, ასევე სამ სეტში კენ როზუოლი, უიმბლდონში — ნიუკომბი, ხოლო აშშ-ში „ფორესტ ჰილში“ — როჩა. იმ წელს თითქმის ყველა ანკეტაში როდ ლეიფერი დასახელებული იყო ნომერი პირველ სპორტსმენად.
1970 წელს ლეიფერმა დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა. 1971 წელს მოიგო იტალიის ჩემპიონატი, ხოლო ემერსონთან ერთად უიმბლდონის წყვილთა ტურნირი. ერთი წლის შემდეგ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული სამი ტურნირი რიჩმონდში, ფლოიდფისასა და ტორანტოში, მხოლოდ დალასში წააგო შეხვედრა როზუოლთან.
35 წლის ლეიფერმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვინა „დევისის თასის“ გათამაშებაში, სადაც ნახევარფინალში და ფინალში ექვსივე შეხვედრა მოიგო. ნიუკომბთან, როზუოლთან და ანდერსონთან ერთად ექვსწლიანი შესვენების შემდეგ შეძლო ავსტრალიისთვის დაებრუნებინა ძვირფასი თასი.
ყველა ის დიდი წარმატება, რასაც როდ ლეიფერმა მიაღწია თავისი სპორტული კარიერის მანძილზე, არის თავდაუზოგავი შრომა შედეგი, რაც შესანიშნავი მაგალითია ყველა იმ ახალგაზრდასათვის, ვინც სპორტული ცხოვრების ურთულეს საფეხურებზე ასვლას ლაპობს.
პუბლიკაცია მოამზადა ალექსანდრე ჯიბლაძემ.